ახალი განთიადი

„მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული„

30 ნოემბერი - 12 დეკემბერი 2013 წელი №22 № 8056 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გვ2

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები სწავლის საფასურს არ გადაიხდიან გვ2.

“ქართლს შუაგული ადგილი უჭირავს...” გვ4.

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები გვ2.

ვინ მოუტოვოს ლა ლაჩუთთავებს ჯეროვან?! გვ4

მოსწავლეთა სპარტაკიადა გვ4



“ტა აკლია ქართველს?” გვ5.

წყლის წვეთების ხმა ლა ჩიცების ჭიკჭიკი გვ7.

ჯადოსნური ადგილი გვ7.

პაცარა “ყამეტაი” გვ5.

ქუდოს

ნასოფლარის ისტორიისათვის გვ6.

შუბითი

80 წელი თჯვენგ გვენლითი

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები სწავლის საფასურს არ გადაიხდიან

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომაზე განიხილეს აღნიშნულ სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლების საფასურის გადახდის საკითხი. სხდომაზე საკითხი დადებითად გადაწყდა.

სწავლის საფასურს არ გადაიხდიან სტუდენტები, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან არიან, იქ მიიღეს საშუალო განათლება, სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, არ აქვთ სახელმწიფო გრანტი და არ მიეკუთვნებიან იმ სოციალურ კატეგორიებს, რომელთა სწავლასაც სახელმწიფო, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, უკვე აფინანსებს - განაცხადა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სიას ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან მიიღებს.

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები

სოფელ მეტეხში 2013 წელს "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" რვა პროექტი დაიგეგმა. პროექტები სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით მიიღეს სოფლის საერთო კრებაზე. აღნიშნულიდან 2 პროექტი ითვალისწინებს სასმელი წყლის, 2 სარწყავი წყლის, ერთი საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას; 2 პროექტით

განხორციელდება სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოები, ერთი პროექტის ფარგლებში მოხდება ტექნიკის შეძენა.

სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით გაიწმინდა ბუნებრივი სასმელი წყლის სასოფლო წყაროების შემკრები ავზები, ხოლო სათავეზე მოეწყო წყლის დამატებითი შემკრები. ტექნიკის გამოყენებით გაიწმინდა შიდა სარწყავი არხები, ასევე შიდა სასოფლო რუები.

დევნილთა დასახლებაში მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა, გაი-

წმინდა ჭა და შეიძინეს მილები. დევნილებისთვის შეძენილია საკუთარ მფლობელობაში არსებული ტრაქტორის გამაფხვიერებელი..

სოფელი მეტეხი ცნობილია წარმატებული მოჭიდავეებით, მათი ხელშეწყობის მიზნით, საჭიდაო დარბაზს ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია - სრულად აღდგა დაზიანებული იატაკი და გამაგრდა დარბაზის სკამები.

კეთილმოეწყო სოფლის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზო. აღდგა ეზოს კედელი, ეზოში განთავსდა სკვერის 5 სკამი.

აღნიშნული სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყო-

ფილი 71 054 ლარის დაფინანსების ფარგლებში გაკეთდა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2013 წელს კასპის მუნიციპალიტეტს სოფლის პრობლემების მოგვარებისათვის 950 847 ლარი გამოეყო, რომელიც 17 საკრებულოს 72 სოფელზე გადანაწილდა. "სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ადგილებზე განხორციელებული პროექტებით, მოსახლეობის პრობლემებს ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენას უნივერსიტეტის მუზეუმი მასპინძლობდა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ექსპონატები: ექვთიმე თაყაიშვილის პირადი წერილები, ფოტოები, დოკუმენტები, მის მიერ გამოცემული წიგნები.

უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ აუდიტორიას მოკლედ გააცნო ექვთიმე თაყაიშ-

ვილის მოღვაწეობა და ღვაწლი, რომელზეც შემდეგ ვრცლად ისაუბრა ისტორიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

გამოფენაზე მისულ საზოგადოებას სიტყვით მიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ: "ექვთიმე თაყაიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებასა და განვითარებაში. მივიჩნევ, რომ არსებული საარქივო მასალები უნდა გამომზეურდეს". ვლადიმერ პაპავას თქმით, გამოიცემა ექვთიმე თაყაიშ-

ვილის სამეცნიერო ნაშრომებისა და რეცენზიების მორიგი ტომი.

ექსპონატები უნივერსიტეტის მუზეუმში, ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. უნივერსიტეტის მუზეუმში გამოფენა ერთი კვირა გაგრძელდა.

გამოფენას, უნივერსიტეტის მიწვევით ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ გოგიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი, გამ-

გეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე.

ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი უდიდესია ერის წინაშე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ იგივე ექსპონატების ნახვის შესაძლებლობა უნდა მივცეთ კასპის მოსახლეობასაც. ამ მიზნით მიმდინარე წლის დეკემბერში ექსპოზიცია წარმოდგენილი იქნება ჯერ სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, შემდეგ კი კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში – აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.



გიორგობის წინა დღეს

გიორგობის წინა დღეს ქალაქის კულტურის სახლში გაიმართა კონცერტი "მღერიან და ცეკვავენ განათლებისა და კულტურის მუშაკები". საზეიმო ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება. გალა კონცერტი გაიხსნა ცეკვა "ქართულით", რომელსაც ასრულებდნენ ხოვლის კულტურის სახლის ქორეოგრაფი, ანსამბლ "რუსთავის" ყოფილი მოცეკვავე ზაზა ყურაშვილი და მისი მოსწავლე ნატო ყურაშვილი.

დარბაზში მყოფი მაყურებელი ოვაციებითა და ტაშით შეხვდა არაერთი ფესტივალის ლაურეატის, კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგის ბელა კობიაშვილის გამოსვლას, რომელმაც ჩვეული მომხიბვლელობით შეასრულა ყველასათვის ცნობილი სიმღერა "მუხამბაზი", ამ სატრფიალო რომანსის გარდა ბელა კობიაშვილმა მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელთან თამუნა ხოკრიშვილთან (კასპის №2 ბაგა-ბაღის გამგე) და ანსამბლ "მოურავის" სოლისტთან მიხეილ ქოსაშვილთან ერთად შეასრულა კიდევ ერთი საესტრადო სიმღერა "გულს რად მიკლავ", კონცერტმეისტერი ლია მენაბდიშვილი.

პოეტ შოთა ნიშნიანიძის ცნობილი ლექსი "საგვარეულო ხე" – წაიკითხა კასპის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელმა ნათია სუხაშვილმა. ხალხური სიმღერების "პოპურით" წარსდგა მაყურებლის წინაშე კავთისხევის კულტურის სახლის დირექტორი, მხატვრული თვითმოქმედი კონკურსების ლაურეატი ნანა შალიტაური.

გალა კონცერტის საუკეთესო მუსიკალური ნომერი გახლდათ კომპოზიტორ ეთერ ჭელიძის ცნობილი სიმღერა "თბილისის ქუჩები," რომელიც შეასრულა კულტურის სახლის დირექტორმა ზაზა მენაბდიშვილმა, ხოლო კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის საყოველთაოდ აღიარებული "თბილისო" ამჯერადაც შთამბეჭდავად შეასრულა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა ხათუნა ხაჩიძემ.

ისეთი მოულოდნელი, რაც მთავარია, დასამახსოვრებელი იყო კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის მიხეილ ზერეკიძისა და ქორეოგრაფიული ანსამბლის, "რკონის" სოლისტის ნანა ხუროშვილის დუეტი, რომ დარბაზში ოვაციები არ წყდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ მათ თავიანთი ინტერპრეტაციით წარუდგინეს მაყურებელს ყველაზე სახალისო ეპიზოდი რაჭული ცეკვიდან.

საკუთარი ლექსით წარსდგა მაყურებლის წინაშე კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ლუიზა ტატიშვილი. ცეკვა "ოსური" შეასრულა ოკამის სასოფლო კლუბთან არსებულმა ქორეოგრაფიული ანსანბლის ქორეოგრაფმა ინგა გულარაშვილმა. საკუთარი ლექსით წარსდგა მაყურებლის წინაშე კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი მანანა ყაბანაშვილი. ინგლისურენოვანი საესტრადო სიმღერა შეასრულეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა ხატია დურულმა და ანსამბლ "მოურავის" სოლისტმა მიხეილ ქოსაშვილმა. სახალისო იყო ქვემო ჭალის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის ზიზი შუღლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც მაყურებელი გულიანად აცინა პატარა მონოლოგით "კახელი ქალი თეატრში". დარბაზი ტაშით შეხვდა ოკამის სასოფლო კლუბთან (გამგე ია ზოდიაშვილი, ლოტბარი ციური გიგაური და მისი ვაჟი იოსებ გიგაური) არსებული ოჯახური ტრიოს გამოსვლას, რომელმაც შეასრულა სიმღერების პოპური "ქუთაისო".

მუსიკალური ნომერი "ხმა ამოიღე ფანდურო"- შეასრულა ქვემო ჭალის კულტურის სახლის რეჟისორმა გიორგი ხასიშვილმა, რომლის აკომპანიატორი გახლდათ თამრიკო საჩალელი. მაყურებლის აპლოდისმენტები დაიმსახურა ქვემო გომის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის ქორეოგრაფმა თამუნა მამულაშვილმა, რომელმაც შეასრულა ცეკვა "აჭარული."

საღამოს უძღვებოდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ნუნუ სუსუნიაშვილი.

– ქართული ცეკვა-სიმღერითა და ლექსით, იუმორით გაჯერებული საღამო გაიმართა, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი გიგა ხორგუაშვილი, – სამომავლოდ უფრო მრავალფეროვანი, დახვეწილი და მაღალი დონის საკონცერტო პროგრამას მოვუმზადებთ ჩვენი ქალაქის მაყურებელს, ვიმედოვნებ, რომ ამ საქმეში მოსწავლე – ახალგაზრდობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარე თემურ ხაბაძე, აგრეთვე კასპის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ვინ ვარ მე?

"ქართლს შუაგული ადგილი უჭირავს..."

"მშვიდობიანი ხასიათით წინათ ქართლელები სჯობდნენ კახელებსაც და იმერლებსაც. ამის მიზეზი ჯერ ის იყო, რომ ქართლს შუაგული ადგილი უჭირავს საქართველოში და მცხოვრებლებზე სხვადასხვა ველურ ხალხებს გავლენა ნაკლებად ჰქონდათ. მეორე მიზეზი ხვნა-თესვის მიდევნაა. ხვნა-თესვა ყველა საქმეზე მშვიდობიანი და ალალი საქმეა. აქ არავითარი ადგილი არა აქვს მოყვასის მოტყუებას, რაიც ჩვეულებად გადაჰქცევია აღებ-მიცემის ხალხს. თუ გლეხი მუყაითად გაირჯება და ღმერთიც ამინდს მისცემს, კარგი მოსავალი მოუვა, თუ არადა, ნათესი მოუცდება. საკუთარი მარჯვენა და ღვთის ნება — აი ერთადერთი იმედი მხვნელ-მთესველისა, ამიტომ ხვნა-თესვა ხალხს წყნარის თვისებებისას ჰხდის და ძლიერ კარგი გავლენა აქვს ზნეობაზე. ამის გამო ერთმანეთის მტრობა, შფოთი და შური ქართლელებში უფრო იშვიათი იყო, ვიდრე სხვა ჩვენებურს მცხოვრებლებში. ოღონდ კი ქართლელს წმინდა სინდისი ჰქონოდა, თავისი თავი პატიოსან კაცად ეცნო, თორემ სხვისას მაგდენს არაფერს დაგიდევდა. ქართული ანდაზა: " თუ თავი ჩემი მეგობრად მყავს, ღარიბად არ ვიხსენებიო" სწორედ ქართლელებზე იყო გამოჭრილი ... "

ვახუშტი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973 წ.

დასუფთავების აქცია მიკრორაიონში

16 ნოემბერს, კასპის მუნიციპალიტეტის ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს, კასპის განვითარების ცენტრის და კასპის ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით მიკრორაიონის დასახლებაში დასუფთავების აქცია მოეწყო. აქციაში მონაწილეობისკენ მეგაფონით მოსახლეობას აქტიურად მოუწოდებდნენ რატი თათხაშვილი და გიორგი ბერიანიძე.

აქცია სუფთა გარემოს დამკვიდრებასა და თითოეული მოქალაქის თვითშეგნებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებას ემსახურება.

სუფთა გარემოში ცხოვრება აუცილებელია ადამიანისათვის, ამის მიღწევა კი ერთად მოქმედებითაა შესაძლებელი, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა სანდრო გზირიშვილმა.

აქციას ადგილობრივი მაცხოვრებლებიც შეუერთდნენ და ყველამ ერთად დაასუფთავა დასახლების ერთი უბანი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბავშვები (მათ შორის 4 წლის ლაშა სულაშვილი), რომლებმაც დასახლებაში მდებარე, სპორტული ცხოვრებისათვის უკვე გამოუყენებელი ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მინი მოედანიც დაასუფთავეს.

აქციის დასრულების შემდეგ ინიციატორებმა აჩვენეს ვიდეორგოლები, დაბინძურებულ გარემოში ცხოვრების დაუშვებლობის შესახებ.

ვიდეორგოლის ჩვენების შემდეგ მოსახლეობის მხრიდან დაისვა საკითხი უყურადღებო და უპასუხისმგებლო მოქალაქეების მიმართ დამსჯელი ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

დასუფთავების აქციით კმაყოფილმა მოსახლეობამ ორგანიზატორებს სანდრო გზირიშვილს, რობერტ კავთიაშვილს, ილია და გიორგი ბერიანიძეებს, მამუკა პაპაშვილს, რატი თათხაშვილს, თეკლა გახელაძეს, სალომე მუხიგულაშვილს მადლობა გადაუხადა.

კასპის მუნიციპალიტეტის ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანო, კასპის განვითარების ცენტრი და ახალგაზრდული საკრებულო გეგმავს მსგავსი აქციები ქალაქის ყველა უბანში ჩაატაროს.

შემოგვიერთდით!

ვინ მოუვლიან და დასუფთავებენ ქალაქს?!

,,ახალი გზა,, იძიებს ცვინტერესებთ ყურადღებას ჩვეთნან ცვგვზეთთ თოდო-მცდავნიან შეცვაქმნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანამრავლონელებს - დადგეთ თქვენი ყვალი ჩვენს მცდავნიში! გამოგვიგზავნეთ ცვინტერესებთ და ცვხალთანთ თოდოები!

სპორტი

მოსწავლეთა სპარტაკიადა

მიმდინარე წლის 7–14 ნოემბერს ჩატარდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში ვაჟთა შორის. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 16 სკოლის ნაკრებმა გუნდმა.

ფინალში ერთმანეთს დოესის და ზემო ხანდაკის საჯარო სკოლები დაუპირისპირდნენ. თამაში მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა მესამე დამატებითი პერიოდის დანიშვნა, სადაც დოესის გუნდმა უფრო დამაჯერებლად ითამაშა და გამარჯვებაც მოიპოვა. ზემო ხანდაკის გუნდი მეორე ადგილს დასჯერდა.

საპრიზო ადგილები:

I ადგილი — დოესის საჯარო სკოლა (დირექტორი იზოლდა ციცაგი, სპორტის მასწავლებელი გიორგი ბერძენიშვილი).

II ადგილი — ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა (დირექტორი დავით გორგაძე, სპორტის მასწავლებელი მერი ბერიანიძე).

III ადგილი — კასპის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი ოლია მახარაძე, სპორტის მასწავლებელი მიხეილ მაკეიჩევი).

სპარტაკიადა გრძელდება.

გოდერძი მარიდაშვილი.

მკითხველთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის მიტანას ხელმომწერთან.

"მეოლოვით მოვლილ ლრუბელონი"

ჩემი სახლის აივნიდან, კასპში, ხელის გულზე მიდევს მიკრორაიონის ბაღები და საყანე მინდვრები, "კოწახურა" და "აშურიანი"... შორს, აქა-იქ, რამდენიმე მარტოხეც მოჩანს, ბუჩქნარიც და ხეხილის ამონაყარიც. უფრო კი, წყალს დანატრებული ველი წევს და დამსკდარი, გამოფიტული მიწა ამაოდ ელოდება მშველელს.

არც თუ სახარბიელო პეიზაჟია...

ისე კი, ტივებივით შემოცურდებიან "კოწახურაზე" საავდრო ღრუბლები, მაგრამ, უკან მოსდევენ აწყვეტილი ქარები და არნადით ისე ხვეტავენ, მიწაზე ზოგჯერ ნამიც აღარ ცვივა...

და, ელოდებიან საყანე და სავენახე მინდვრები წვიმასაც და "უკვდავების წყალსაც." ეს მაშინ, როცა აქვე, მთის ძირში, სარწყავი არხი გადის, მაგრამ არა წყალი. არხი ქვა-ღორღით არის ამოვსებული...

არც თუ შორეულ წარსულში, ამ მინდვრებს, ბუნებაც სწყალობდა და ადამიანიც. თვალს ეამებოდა პურის ყანები და სათიბები, ხილის ბაღები და ქარსაფარი ზოლები.

კი, ჭაობებიც არ აკლდა, მაგრამ უპატრონეს, დააშრეს და "უფლის ხელით" დახატეს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, კასპის პურ-პროდუქტების დამზადების საწარმოში ამ მინდვრებიდან საუკეთესო ხორბლისა და ქერის მოსავალი შემოდიოდა, თავად მიხდებოდა ლაბორატორიაში (სადაც ვმუშაობდი ინსტიტუტში სწავლის პერიოდში) მათი ხარისხის დადგენა.

აღარაფერს ვამბობ იმ საუკეთესო ჯიშების ბლის, ატმის, ვაშლის მოსავალზე, რომლითაც უხვად მარაგდებოდა კასპის მოსახლეობა.

კოლმეურნეობების გაუაზრებლად და ნაჩქარევად დაშლის შემდეგ ამ მიწების პრივატიზება დაიწყო... მაშინდელ გამგეობას და ქალაქის საბჭოს, აღმასკომს მთელი კასპის მოსახლეობა მიაწყდა. დიდი იყო მიწების ხელში ჩაგდების სურვილი. იშველიებდნენ ნაცნობებს, პროტეჟეებს... ძველი სკივრებიდან ამოჰქონდათ მამა-პაპის დანატოვარი გაცრეცილი ანდერძები და სიგელ-გუჯრები...

გოჯი მიწაც არ დარჩა გაუნაწილებელი. ერთხანს, იმედებიც გაამართლა: კარგი მოსავალი მოიწიეს, მაგრამ სარწყავი არხის უპატრონოდ მიგდებამ, თავი მერე იჩინა, როცა ცის ამარა დარჩენილი "კოწახურა" და "აშურიანი" გვალვებმა და ხშირმა ქარებმა გამოაშრო და გამოფიტა. ამას დაერთო ბოლო წლების სამოქალაქო და სამამულო ომები, რამაც ერთიანად მოშალა და გაანადგურა სოფლის მეურნეობა. ტექნიკისა და სარწყავი წყლის გარეშე დარჩენილმა კასპელებმაც ზურგი აქციეს მიწას, ნაჯახებითა და "დრუჟბებით" შეესივნენ ბაღ-ვენახებს, ქარსაფარ ზოლებს, რკინიგზისპირა ჭალებს, გაკაფეს ყველაფერი.

და მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს...

დრო შეიცვალა. 2012 წლის პირველმა ოქტომბერმა დასაბამი დაუდო სოფლის მეურნეობის აღმავლობასაც (ისევე როგორც სხვა დარგებს). წლეულს უსასყიდლოდ დაიხნა და დაითესა ათასობით ყამირადქცეული, მიტოვებული მიწა. გლეხებმა და ფერმერებმა უფასოდ მიიღეს თესლი, სასუქი, ინვენტარი... აღდგა და გაიწმინდა მრავალი სარწყავი არხი და მოწესრიგდა წყალგაყვანილობა.

გასახარი ინფორმაციაც გავრცელდა: შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დეპარტამენტი, რომელიც არ იქნება კოლმეურნეობისნაირი ორგანიზაცია.

ღმერთო მომეცი ძალა, რომ სულეთიდან გამოვიხმო შალვა ხორიაშვილი, ის დიდებული პიროვნება და რაიონის კოლორიტი, თვალსაჩინო მეურნე და სპეციალისტი, მიწასთან ჭიდილში გამარჯვებული და გლეხი კაცის მარჯვენის დამფასებელი. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს და ერთხელ, მასთან, რედაქციის დავალებით მისულს, ასეთი რამ მითხრა: – რაიონში მიწის ნაყოფიერება რომ აგვემაღლებინა, მარნეულში ჩავდიოდით, ჰუმუსითა და აზოტით მდიდარ შავმიწა ნიადაგს ვჭრიდით, მანქანებით შემოგვქონდა და როგორც სასუქს, ისე ვაყრიდით ჩვენს სავარგულებსო.

ამიტომაც იყო მაშინ მათი ხელით და უფლის შეწევნით "დახატული" ჩვენი ზვრები, ბაღები და პურის ყანები.

ისე, არც ახლაა გვიან...

რამდენი ასეთი ამაგდარი, მუხლჩაუხრელი თავკაცი ახსოვს ჩვენს სოფლებს. დღესაც დადის ლეგენდები დოესელ მათე ბეგლარაშვილზე (სტალინის ორეულად რომ სახავდნენ), ზემოხანდაკელ გერასიმე ქვრივიშვილზე (მერე შვილმა-უშანგიმ რომ გაამართლა ანდაზა, "ის ურჩევნია მამულსაო"), ქვემოჭალელ ალფეზ ბუდაღაშვილზე...

რამდენი ერთი ჩამოვთვალო, წავიდნენ, წარსულში დარჩნენ, მაგრამ მათი ნატერფალები დღესაც ატყვია ქართლის ველ-მინდვრებს... სახელი დატოვეს, გაკეთებული საქმე და აღზრდილები...

ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას, ხოლო აღზრდილები, რომლებიც მრავლად არიან ალბათ, სათავეში ჩაუდგებიან ახლად შექმნილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და მალე აღარ გვექნება მოუხნავი, დაუთესავი და მოურწყავი მიწები, გაუწმენდავი არხები, გაუშენებელი ზვრები და ხეხილის ბაღები, გაჩეხილი ტყეები და ქარსაფარი ზოლები.

მანამდე კი, "ხელის გულზე მიდევს" მიკრორაიონში გაშენებული გვალვისაგან გადამხმარი ბაღები, "კოწახურა" და "აშურიანი"...

მტკვრის ხეობაში ქარი კაპასობს და საავდრო ღრუბლებს მოერეკება, ალბათ, ამიტომ ამედევნა ეს ხალხური ლექსი "მაღლაით მოვლენ ღრუბელნი, გორებზე დაეკიდება"...

ქართლში წვიმს...

ნორა ედიშერაშვილი.

ვინ ვარ მე?

"რა აკლია ქართველს?"



დიმიტრი უზნაძე: "ქართველს აკლია "დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს; მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა, პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა. ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს.

მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქს. გული აინთება, ნებაც მოქმედებს, მაგრამ გული მალე ცივდება და ნების მაჯისცემა უმალვე წყდება. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერგიის გამძლეობის მხრივ საგრძნობლად არ კოჭლობდეს. პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანთებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის; დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნის დონეს მიაღწევდეს. ამიტომ არის, რომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავებთ და ბედნიერი მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით.

აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება – აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო."

სპორტი

პატარა "სამურაი"

მიმდინარე წლის 3 ნოემბერს მცხეთაში ჩატარდა ტურნირი კარატეში, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის თხუთმეტი საუკეთესო გუნდი, მათ შორის იყვნენ კასპელი კარატისტებიც. ჩვენებურებმა წარმატებით იასპარეზეს მცხეთის ღია პირველობაზე გამართულ ტურნირში და მორიგი გამარჯვება მოუტანეს ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ტურნირში გამარჯვებულთა ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად: პირველი ადგილის მფლობელი გახდა გიორგი თხინვალელი (6 -7 წელი, -23 კგ. წონითი კატეგორია), მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ქესაური (11-12 წელი, +45 კგ. წონითი კატეგორია, მსოფლიო ჩემპიონი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურნირზე დაფიქსირდა მესამე ადგილის 4 მფლობელი: დავით გიგილაშვილი (10-11 წელი, –35 კგ.), რევაზ გორგაძე (12-13 წელი, +55 კგ.), თორნიკე მურღული, მსოფლიო პრიზიორი, (14 -15 წელი, –50კგ, +50კგ) და ბობა დალაქიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი, (16-17 წელი, +68 კგ.).

– მცხეთის ტურნირზე წარმატებულად გამოვიდნენ ჩვენი კარატისტები, – განაცხადა სპორტის დაწესებულებების გაერთიანების №44 სასპორტო სკოლის კარატეს მწვრთნელმა დავით დალაქიშვილმა, – მაგალითად, ყველაზე უმცროსმა მოასპარეზემ გიორგი თხინვალელმა სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და ერთმნიშვნელოვნად დაგვაიმედეს, რომ მისი სახით ჩვენს რაიონს პატარა "სამურაი" ეზრდება.

შუბათი

ნასოფლარის ისტორიისათვის

მესაქონლეობის გარდა შუბათში მებოსტნეობას და მემინდვრეობასაც მისდევდნენ. განთქმული გუთნისდედები იყვნენ გაბრიელ წიკლაური, მიხა და თედო ბექაურები. ხარ-კამეჩისთვის უღელს თლიდნენ გიორგი და ილიკო წიკლაურები. მოსახლეობას დიდი რაოდენობით მოჰყავდა კარტოფილი, თესავდნენ მარცვლეულს, ქერს, საგაზაფხულო ხორბალს-დიკას. დიკა ითესებოდა სოფლის დასავლეთით-საწმინდეებში. კავთურის მარჯვენა ნაპირზეც სახნავ-სათესი მიწა იყო, რომელსაც გაღმა მამულებს უწოდებდნენ. სახნავი იყო აგრეთვე სრელები და ქვეით გორის მიწები. სოფლის ჩრდილოეთითაც ყანები იყო, აქვეა ნაკალოვრები. სრელების აღმოსავლეთით ნალობიოვარი მდებარეობს. საწმინდეების დასავლეთით ნაფუტკრალია, აქ მოსახლეობას ფუტკრის კოდები ედგა. სოფელში საკვებად თავიანთი მოყვანილი ხორბლის ფქვილს იყენებდნენ. თუ შემოაკლდებოდათ თვალადურ სიმინდს ყიდულობდნენ. პურს ფურნეებში აცხობდნენ. სოფელში ნამეტ პროდუქტსაც აწარმოებდნენ. ყველი, კარაქი, ერბო, კარტოფილი, პირუტყვი თუ სხვა გასაყიდად გაჰქონდათ ახალქალაქსა და მანგლისის ბაზრებზე, სადაც ხუთშაბათობით და კვირაობით დიდი ბაზრობა იმართებოდა. იქაური ვაჭრებიც ჩამოდიოდნენ შუბათში, ძირითადად ყასბები და საქონელს იძენდნენ. სოფლის ქალებმა კარგი ხელსაქმე იცოდნენ. ართავდნენ შალის ძაფს, მიჰქონდათ მანგლისში და ღებავდნენ. ქსოვდნენ ტანსაცმელს, ფარდაგებს, ფერად ჯეჯიმებს, ხალიჩებს, ფიჩვებს, ხურჯინებს.

სოფელში ხელოსნების ნაკლებობა იყო. სამჭედლო საქმეზე ხალხი მანგლისსა და ახალქალაქში მიდიოდა, მშენებლები და კალატოზებიც თონეთიდან და მანგლისიდან ამოჰყავდათ. კირიც ბარის სოფლებიდან, უმეტესად თვალადიდან ამოჰქონდათ. ავეჯის ხელოსნებიც მანგლისელები იყვნენ.

შუბათელებს დოვლათიანი ოჯახი ჰქონდათ. ხალხურ მთქმელს დავითო ჩოხელს უთქვამს:

შუბათის მთაში აქებენ
ნოყიერ ერბო-კარაქსა.
სულ შინა სჭამენ, ვისაც აქვს,
აღარვის მიაქვს ქალაქსა,
სჭამენ და კიდეც არიან
მკლავშიაც აძლევს ძალასა.

1937 წელს წიფორში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. 1938 წელს შუბათშიც შეიქმნა კოლმეურნეობა და შეუერთდა წიფორის კოლმეურნეობას. თავმჯდომარე იყო წიფორელი მიხა წიკლაური (ბალიჩაანთ მიხა). შუბათელი კოლმეურნეებისაგან შეიქმნა ერთი ბრიგადა.

ხალხს კერძო მიწები ჩამოართვეს, საკუთრებაში თითოეულ კომლს დაუტოვეს 0.2 ჰა. შეიქმნა მეცხოველეობის ფერმა. ხალხს საქონელიც უსასყიდლოდ ჩამოართვეს.

1943 წლამდე შუბათში სკოლა არ იყო, ფაქტიურად, წერა-კითხვის მცოდნე თითო-ოროლა კაცი იქნებოდა. 1943 წლის 1 სექტემბერს ალექსი წიკლაურის თაოსნობით შუბათში გაიხსნა სკოლა. ეს იყო წიფორის დაწყებითი სკოლის პარალელური 1-3 კლასი. სკოლა გაიხსნა მახარე წიკლაურის სახლში, რომელიც დღესაც დგას ნასოფლარში. მასწავლებელი იყო ალექსი წიკლაური. სკოლაში 14 ბავშვი შევიდა.

მეორე მსოფლიო ომში შუბათიდან 4 კაცი წავიდა და არცერთი დაბრუნებულა. ესენი იყვნენ: წიკლაური გიორგი გაბრიელის ძე, ბექაური ნიკოლოზ გიორგის ძე, ბექაური შაქრო პეტრეს ძე, აფციაური ვანო კაკოლას ძე. ყველა ქვემო შუბათელი იყო. ომის დროს შუბათელები, როგორც შეეძლოთ ეხმარებოდნენ ფრონტს. უმეტესად ქსოვდნენ და აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელს.

სოფელში კარგი მელექსეები იყვნენ. თითქმის ყველას ემარჯვებოდა მხატვრული სიტყვა. სუფრაზე ყოველთვის ლექსებით საუბრობდნენ და ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. კარგი მელექსე იყო ვანო ბექაური (ჩონქარა). იგი შეძლებული კაცი ყოფილა: "მეძახიან ჩონქარასა, ცხვარს რო დავდევ ორ ფარასა," და დიმიტრი წიკლაური (ჯაჯაანთ დიმიტრა):

ჯაჯაანთ დიმიტრი ვარ,
ყროლებს არ ვუდებ თავსაო.
შუბათის ქალაქსა ვცხოვრობ,
ზემო სოფლების თავსაო.

შუბათში ცნობილი კაცი იყო ბეჟან წიკლაური. დედამისი ადრე დაქვრივებულა, გუდამაყარში ძალზე გასჭირვებია და იძულებული გმხდარა პატარა შვილით შუბათში წამოსულიყო, სადაც მისი ნათესავი ბექაურები ცხოვრობდნენ. შვილი ბექაურებთან დაუყენებია მოჯამაგირედ. ბეჟანი საქონელს მწყემსავდა, ხან გუთანზე მუშაობდა მეხრედ. ერთი წლის სამსახურის გასამრჯელოდ ხბო მიუციათ და ეს ხბო მოუშენებია. ბეჟანი კვარს ამზადებდა, ნიჩბებს თლიდა და ყიდდა, მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. მალე ოჯახი ისე მოუძლიერებია, რომ მამულებიც უყიდია შუბათში და მანგლისის მხარეშიც - უხმარას მამული. ბეჟანს დიდი რაოდენობით ცხვარ-ძროხა ჰყოლია. მასთან მწყემსად ყოფილა ალექსი ბურდული, იგივე ჭიმური, ვარჯაანელი ხალხური მთქმელი. ერთხელ დაღლილ ჭიმურს უთქვამს:

აღარ მესმოდა ბეჟანო,
შენი ხმა, შენი ძახილი,
დიყიანებში ავრეკე
შენი ფერმა და ნახირი.
სუ მთლად დავჭრიდი თავებსა
წელზე რომ მქონდეს მახვილი.

კარგი სახელი დატოვა ბეჟან წიკლაურმა, მის მონაგარს ახლაც ბეჟანიანთ ეძახიან. მისმა გარდაცვალებამ მთელი მხარე დაამწუხრა. ეს ლექსიც მაშინ გამოითქვა:

მთებო იგლოვეთ ბეჟანი,
ჯანღების შემოხვევითა,
ბევრჯერ შეგღებათ გუთნითა,
ბევრჯერ გაწითლათ ცელითა,
ბევრჯერაც გადაგათეორათ
ცხვარ-ძროხის შემოფენითა,
კვირაში სამჯერ გივლიდათ
პიროფლიანი ცხენითა.
იტირეთ, ქალო და რძალო
ბეჟანი ცხელის ცრემლითა.

ბეჟანს ოთხი ვაჟი ჰყავდა. მისი შვილი მახარე I მსოფლიო ომში, ქალაქ ლუცკში დაიღუპა. ოჯახმა ტანსაცმელი და ქამარ-ხანჯალი დაიტირა და დამარხა ბოტისის სასაფლაოზე.

შუბათი მთაგორიანი ადგილია და რა თქმა უნდა, ძირითადი სატრანსპორტო საშუალება ცხენი იყო. შუბათელი გიორგი (წვერა) ბექაურიც შეძლებული კაცი ყოფილა. საქონელიც ბევრი ჰყოლია და ცხენებიც საუკეთესო. ერთხელ კავთისხევში შეხვედრია თავად გიგო თარხნიშვილს. წვერა წარმოსადეგი კაცი ყოფილა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ჰქონია წელზე შემორტყმული და შესანიშნავ ცხენზე მჯდარა. გიგოსაც კარგი ცხენი ჰყოლია და უთქვამს ბექაურისთვის - ცხენები გავაჯიბროთო. წვერას ცხენს უჯობნია. ბექაურს დაუცინია თავადისთვის. გამწარებულ გიგოს თვალისდახამხამებაში უტაცია ხელი წვერას ხანჯლისთვის და მისი საკუთარი მახვილით გაუგმირია ბექაური.

შუბათელების გადასახლება ჯავახეთში უნდოდათ. სოფლის მიერ არჩეულმა დელეგაციამ-ალექსი წიკლაურის, მიხეილ ბექაურის, აბრამ გორჯოლაძის შემადგენლობით დაათვალიერა ეს ადგილები და არ მოეწონა. ამის შემდეგ, თავიანთი სურვილით გადავიდნენ ვისაც სად უნდოდა ცხოვრება. ეს პროცესი გართულების გარეშე წინააღმდეგობის გაუწევლად ჩატარდა იმიტომაც, რომ კოლმეურნეობამ წაიღო მიწა, საქონელი ჩამოართვეს და ცხოვრება უკიდურესად გაჭირდა. რადგანაც გუდალეთის მიდამოები მათი მშობლიური სოფელივით მთიანი ზონა იყო, თითქმის ნახევარი შუბათი გუდალეთში ჩასახლდა. ჯაჯაანთ ორი კომლი ახალსოფელში მანგლისთან ახლოს, გიგაურები თეთრწყაროს რაიონში. შუბათის მინდვრები დაიკავა გუდალეთის კოლმეურნეობამ. ორ წელიწადს ამ მიწებზე მოსავალიც მოჰყავდათ. შემდეგ უკვე საზაფხულო საძოვრად იყენებდნენ.

ლალი თათრიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი.

დასასრული. დასაწყისი იხილეთ "ახალი განთიადი" №21

რა არის ფენ შუი და როგორია მისი ოქროს კანონი

ჩინელთა ცხოვრებაში ფენ შუი ისეთივე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, როგორც ხელოვნება, მედიცინა და სამხედრო საქმე. მისი კანონები ჩინელებისათვის ისეთივე უდავო და მისაღებია, როგორც ევროპელებისათვის ფიზიკის კანონები, იმ განსხვავებით, რომ ფენ შუი წყალში ჩაძირულ სხეულებზე ჩატარებულ ცდებს კი არ ეფუძნება, არამედ სახლში ენერგიის ნაკადის მიმართულებას.

ყველა ადამიანს თავისი სასიცოცხლო პოტენციალი აქვს. ფენ შუის მიზანია ამ პოტენციალს შესაძლებლობა მისცეს, სრულად გამომჟღავნდეს, რათა ადამიანი ამაოდ არ დაიხარჯოს დაბრკოლების გადალახვაში და შეძლოს ცხოვრებაში გააკეთოს ის, რაც სჭირდება. ეს კი ბევრ რამეში დამოკიდებულია იმაზე, ადამიანი სივრცეში თავს როგორ დააბინავებს. მაგალითად, ფენ შუის მიხედვით, ყოველ სხეულში არის ადგილი, რომელიც შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. თუ სამუშაოდ იქ დაჯდებით, აზრები თქვენკენ მდინარესავით წამოვა, ხოლო თუ იმ ადგილზე მოიკალათებთ, რომელიც შინაგანი სიმშვიდისთვისაა განკუთვნილი, რამდენიც არ უნდა ეცადოთ, თავში აზრები არ მოგივათ. ეს ეხება ცხოვრების ნებისმიერ სფეროს — ჯანმრთელობას, კარიერას, ქორწინებას, წარმატებას, შვილებისა და მშობლების ურთიერთობას...

ფენ შუის ყველაზე ხშირად მაშინ მიმართავენ, როცა სერიოზული პრობლემები აქვთ და მათი ჩვეულებრივი მეთოდით გადაწყვეტა არ ხერხდება. მაგალითად, საწარმოს მოგება არ მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი წესრიგში აქვთ, ან ოჯახი ინგრევა, მიზეზი კი არავინ იცის.

ნებისმიერი ცხოვრებისეული პრობლემა შეიძლება სახლის დახმარებით გადაწყდეს, რადგან მასში, როგორც წესი, ყველაფრის მიზეზი აირეკლება. აქ მკაფიოდ გამოხატული ურთიერთკავშირი არსებობს. ყოველი ჩვენგანი სახლს ჩვენი შინაგანი მდგომარეობის შესატყვისად ვიწყობთ და პირიქით, თუ სახლში რაღაც შეიცვალა, ეს ჩვენს შინაგან სამყაროზე აისახება.

ფენ შუი არკვევს ადგილს, სადაც ადამიანი სახლობს, ბინას და მის შინაგან წყობას — ოთახის ფორმას და ვინ უნდა იცხოვროს იქ, სად ჯობს ავეჯის დადგმა და კედლები რა ფრად უნდა შეიღებოს. ენერგიას, რომლითაც ფენ შუი "მუშაობს", ჩინეთში ცი-ს უწოდებენ. ის ყველაფერში არსებობს, ხოჭოდან დაწყებული, კოსმოსამდე.

* დასასრული მომდევნო ნომერში

მოულოდნელი თუ ასახსნელი?

ალბანეთი ნიტოცრლიგ განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ ასახსნელი მოვლენიგ მოწმე ხდება. უმეტეგ შემთხვევაში არ ვიცით, ვიგ გავუზიარეთ ნანახი, ალბათ იმიგ შიშით, რომ შეიძლება არავინ გაგვიგონ.

თუ �oიალხარი მომსწრე ასახსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენიგა შეგიძლიათ მოგვწეროთ ამ მოვლენიგ ამსახველი მასალა. მიგი გაცნობიგ ლა შეგწავლიგ შემდეგ თუ იგი ნაინტერესოა ეკნება გაზეთიგ მკითხველიგათვიგ, გამოკვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი". ნაკლებიგ შემთხვევაში შეგვიძლია თქვენგ მიერ შემოთავაზებული წერილი გალავეთ ვეურნალ "ეენომენგ" ლა შეგნახამიგალ ალეტრი გაეცნოგ ეკანვერტთა შეთანხმებებგ თუ ყომენტარებგ.

ჯადოსნური ადგილი

ხანდახან ისეც ხდება, რომ მშობლები ძალით წაგათრევენ გაურკვეველ უზარმაზარ შენობაში. იქ ერთ ადგილზე უნდა იჯდე, ხმას არ იღებდე და უსმენდე, თუ როგორ ლაპარაკობენ ქალები და კაცები ხმამაღალი სიმღერით. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ სცენაზე დარბიან, შენ კიდევ აღარ იცი, რას უყურო, მათ მოძრაობებს თუ მუსიკოსთა უზარმაზარ კოლონას სცენის პირდაპირ, ორმოში. გამარჯობა, შენ, ალბათ, ოპერაში მოხვდი სპექტაკლზე.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც, შესაძლოა ეს ყველაფერი საშინლად არ მოგწონდეს. ჯერ ერთი — იქ წასვლამდე წესიერად და გამოწკეპილად ჩაცმის რიტუალი. ამ ტანსაცმლით ხომ ნორმალურადაც ვერ გაინავარდებ. კიდევ, დედა, ალბათ, თმის ყოველ ღერს გილაგებს და შემდეგ კმაყოფილი გიყურებს. ვიცი, ეს მოსაბეზრებელია შენთვის. თუმცა, ოპერაში ყოფნისას თუ მაყურებლებს გადახედავ, აუცილებლად შეამჩნევ, რომ ყველას ისე აცვია, თითქოს რაიმე განსაკუთრებული ხდებოდეს. შეიძლება გაგიკვირდეს, რატომ უჭირავთ ადამიანებს თავი ისე, თითქოს დღესასწაულზე ან კარნავალზე მიდიოდნენ, ან რატომ აქვთ ასეთი სერიოზული სახეები. თანაც გაიძულებენ, შენც მათნაირი იყო. საქმე იმაშია, რომ თუ ოპერას კარგად მოუსმენ და თვითონ შენობაში მოლივლივე ატმოსფეროს დააკვირდები, მიხვდები, რომ აქ მართლაც განსაკუთრებული, ჯადოსნური ამბები ხდება.

ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა მართლაც რომ მოსაბეზრებელია, რაც უნდა რბილი იყოს სკამი. თუნდაც ისეთი, როგორიც ოპერაშია. აბა, როგორ ძლებს ამდენი ადამიანი საათების განმავლობაში? ამ კითხვაზე პასუხს აუცილებლად იპოვი, თუ ცოტა ხნით ეცდები დაივიწყო შენი გაბრაზება და მუსიკას ყური მიუგდო. წარმოიდგინე, რამდენი ინსტრუმენტი უკრავს იმისთვის, რომ აკომპანიმენტი გაუკეთოს ადამიანების სიმღერას. კარგად დააკვირდი ამ მუსიკოსებს, ისინი ორმოში სხედან და მათი ერთობლიობა ორკესტრს ქმნის. ერთმანეთს დაუჯერებლად ადვილად უწყობენ საკუთარ პარტიებს და ამაში ის ტიპიც ეხმარება, მათ წინ რომ დგას და ხელებს რომ იქნევს. ეს ბატონი დირიჟორია, მან უამრავი რამ იცის მუსიკის და სხვადასხვა ინსტრუმენტების შესახებ, ნამდვილი ჭკუის კოლოფია.

როცა ორკესტრის თვალიერებას მორჩები, მომღერლებსაც მოუსმინე. თავიდან შეიძლება არ მოგეწონოს, იფიქრო, რომ ქალები კივიან, კაცები კი ჭექა-ქუხილის ხმებს გამოსცემენ. თუმცა, თუ კარგად დაუკვირდები, მიხვდები, რომ თანდათან შენი ყურები სიამოვნებისგან იკუმშება და გულიც გიჩქარდება. ოპერის მომღერლებს მართლაც რომ ლამაზი ხმები აქვთ და ძალიან რთული რამეების მღერა შეუძლიათ. გარდა ამისა, მსახიობობაც უნდა ეხერხებოდეთ. არ დაგავიწყდეს, რომ ოპერის სცენაზე საოცარი კოსტიუმებიც მოგხვდება თვალში, რომლის დახატვასა და შეკერვაზე ბევრი ჭკვიანი უფროსი ირჯება.

შენ ახლა ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მაინც ვერ შეგიმსუბუქებს ოპერაში ყოფნის საშინელებას. მოქმედებებს შორის აუცილებლად იქნება შესვენება. მერე კი შენ თვითონ ნახავ, ანტრაქტის დასრულების შემდეგ, როგორ დაიკავებ საკუთარ ადგილს და მოემზადები, ნახო და მოუსმინო, შემდეგ რა მოხდება.

წყლის წვეთების ხმა და ჩიტების ჭიკჭიკი

ადამიანები ხშირად სვამენ შეკითხვას — რა არის მუსიკა? შენ, ალბათ, გაინტერესებს როდის შეიქმნა პირველი მუსიკალური ნაწარმოები. შესაძლოა მაშინ, როცა ცეცხლის გარშემო შეკრებილმა პირველყოფილმა ხალხმა მოიწყინა და რაიმე საინტერესოს კეთება მოუნდა.

ადამიანებმა მერე თანდათან გადაწყვიტეს აეხსნათ, თუ რა არის მუსიკა. ზოგიერთმა მათგანმა დაამტკიცა, რომ მუსიკალურ ნაწარმოებებში აუცილებლად არსებობს კანონზომიერება, რომლის გამოთვლა შესაძლებელია. ის, თუ რამდენადაა ორი ნოტი ერთმანეთს დაშორებული, ანდა როგორი მრავალხმიანობაა, ზუსტად გეუბნება როდის შეიქმნა ეს მუსიკა. თუ კარგად დააკვირდები სხვადასხვა ნაწარმოებს, შეგიძლია გამოიცნო რომელ კომპოზიტორს ეკუთვნის ისინი. განა იმიტომ, რომ ერთი და იმავე ავტორის ქმნილებები ერთმანეთს ჰგავს, არამედ იმიტომ, რომ თუ დააკვირდები შეამჩნევ, ამ კომპოზიტორს როგორი აკორდები, მუსიკალური გადასვლები, ინსტრუმენტები ერჩივნა და უფრო ხშირად როგორ ხასიათზე იყო, როცა მუსიკას წერდა.

შენ წარმოიდგინე, სევდიანია თუ არა მუსიკალური ნაწარმოები, იმაზეცაა დამოკიდებული, რამხელა დაშორებაა გარკვეულ ნოტებს შორის და თუ როგორ ტონალობაშია დაწერილი იგი.

რედაქცია მადლობას უხდის ციუკა ყიფშიძეს გვერდის მომზადებისათვის.

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მუსიკა სამყაროს არსებობის პირველი დღიდანვე ისმის: წყლის წვეთების დაცემის ხმას, ხეების შრიალს, ტალღების ნაპირთან მიხეთქებას და ჩიტების ჭიკჭიკს შეუძლია მუსიკის წარმოქმნა. მეოცე საუკუნის ბოლომდე ყველას დავიწყებული ჰქონდა ეს იდეა. ადამიანები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საკუთარი ხმის ტემბრს და სხვადასხვა ინსტრუმენტებს. თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში მუსიკაში უამრავი ჟანრი გაჩნდა, რომლის მიმდევრებიც გულმოდგინედ იწერენ ბუნებაში წარმოქმნილ უბრალო და ჩვეულებრივ ხმაურს, შემდეგ ანაწილებენ და ერთმანეთს უხამებენ. ერთხელ, აბა, სცადე მოისმინო ასეთი მუსიკა; ის საერთოდ არ ჰგავს სხვადასხვა ჯგუფების შესრულებულ სიმღერებს, ანდა გენიოსი კომპოზიტორების მიერ შექმნილ სიმფონიებს. ასეთი ნაწარმოებების მოსმენა ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. მით უმეტეს მაშინ, როცა უზარმაზარ ქალაქში იმყოფები, სადაც ჩანჩქერების ხმაურის მაგივრად მუდმივად მანქანების ‘‘მდინარეების‘‘ ხმა ჩაგესმის და ხანდახან ჩიტების არსებობის შესახებაც გავიწყდება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ცდილობენ ყველაფერი გამოითვალონ, მაინც გაუგებარია ის, რომ ერთი და იგივე მუსიკა სხვადასხვა ადამიანზე სულ სხვადასხვანაირად მოქმედებს. შეიძლება შენ და შენმა მეგობარმა ერთდროულად მოისმინოთ სიმღერა, შენი მეგობარი გახალისდეს, სირბილი და თამაში მოუნდეს, შენ კიდევ ცუდ ხასიათზე დადგე. თანაც, ყველას სხვადასხვანაირი მუსიკა უყვარს. შეიძლება ყველაზე გენიალური ნაწარმოებიც კი არ მოგეწონოს. თუმცა, უამრავ მუსიკალურ ქმნილებაში, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იწერებოდა, აუცილებლად აღმოაჩენ რამეს და მოგინდება თქვა — აი, ეს კი ნამდვილად ჩემთვის დაუწერიათო.

გაერთე სახალისო ვიქტორინით!

გადავწყვიტე კიდევ ერთხელ დაგისვა შეკითხვები, რომლებზეც შენ თვითონ ეცდები პასუხების გაცემას. ზოგიერთ მათგანზე, ალბათ, თვალის დახამხამებაში უპასუხებ, ზოგიერთზე კი, ალბათ, დიდხანს მოგიწევს ფიქრი. ყურადღებით წაიკითხე ეს შეკითხვები, შემდეგ წარმოიდგინე მოცემული სიტუაცია, გამოიყენე ის ცოდნა, რომელიც გაქვს, ან საჭირო წიგნები მოძებნე და იქ ჩაიჭყიტე. და თუ ეს ყველაფერი საკმარისი არაა, მაშინ შენს არაჩვეულებრივ გამომგონებლობის უნარს მოუხმე. თუ პასუხს იპოვნი,მაგრამ ეჭვი შეგეპარება, ერთი წესი ძალაში რჩება, შეგიძლია გაიქცე დედიკოსთან ან მამიკოსთან და ჰკითხო. ოღონდ, თუ დაღლილია, ნუ შეაწუხებ და ისევ ეცადე თავად მოიფიქრო პასუხი. მაშ ასე, ვიწყებთ თამაშს:

1. რატომ არ იხოცებიან თევზები მაშინ, როცა ზღვაში მეხი ეცემა, ან დიდი ელვა მოძრაობს წყლის ზედაპირთან ახლოს?

2. რამდენ კილოგრამს იწონის ცა?

3. რატომ არ არტყამთ დენი ჩიტებს მაშინ, როცა დენის მავთულზე სხდებიან?

4. რა არის დრო და შეგიძლია თუ არა დაშალო იგი ნაწილებად?

5. რატომ ჩანს ხოლმე მთვარე ღამითაც და ხანდახან დღისითაც?

6. რატომ არის წყალი სველი?

7. რატომ ჰყავს ჩემს საუკეთესო მეგობარს ორი მამა?

8. რამდენად სწრაფად შეუძლიათ ადამიანებს სირბილი?

9. რატომ აქვს კენგურუს ჩანთა?

დარწმუნებული ვარ, ყველა კითხვას არაჩვეულებრივად უპასუხე. შეგიძლია საკუთარი პასუხები გამოუგზავნო რედაქციას და ისინი აუცილებლად დაიბეჭდება. ეს იმიტომ, რომ სხვა ბავშვებმაც მოისმინონ შენი აზრები იმ შეკითხვების თაობაზე, რომელთაც თვითონ ვერ უპასუხეს. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი სწორი იყოს. წარმატებებს გისურვებ!

* **ძვირფასო ბავშვებო,**

სულ ცოტაც და საახალწლო ფაციფუცი დაიწყება. ჩვენ გვაინტერესებს როგორ შეხვდებით დღესასწაულს, მოგვწერეთ და რა თქმა უნდა, ველოდებით თქვენს გადაღებულ ფოტოებს.



ჯვთისხევი ან ჯვხთისხევი - XII - XIII საუკუნეების ჯვრთოული მონასტერი. მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (ჯვრთული). ნოეფილ წინასწარიდან 5 კილომეტრში. მდინარე ყვეთურის ნათავებთან.



გილოცავთ!

ჯემალ ბახუაშვილს, ამაგდარ ყასაბელს, ლრანსეულ მოქალაქეს, ჩინებული ოჯახის მამას ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიყვითეს და დღეგრძელობას.

ყასის მუნიციპალიტეტის საურებული.

ჩვენი საყვარელი პატარები!

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) საუბარი.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ აქტიურ ფორუმებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინერეთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, ყურადღებით:

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დაგოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კეხურა".

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში





ბინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

ბინდათ, გაიგოთ ეროსკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების ჰესსპექტივაზე?

ბინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

გამოგვიგზავნეთ!

,,ახალი განთიადი,, იძებნა ნაინდერები ყურადღებებ რეალობის ნაგზავნეთ ფოტო-მასალის შეგვაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანამრეალობელებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ნაინდერები და ნახატები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76